მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტთა ხედვები მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების მიზნების ურთიერთქმედებაზე: გამოწვევები და პერსპექტივები

ნინო გვარამაძე
პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტი
nino.gvaramadze@eu.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომში გამოკვლეულია მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის სტუდენტების ხედვა მდგრადი განვითარების მიზნებსა და მოქალაქეობის სწავლების ურთიერთკავშირის შესახებ. რა გამოწვევები და წინააღმდეგობები აქვთ მათ ამ მიმართულებების ინტეგრირებულ გააზრებაში და რა პერსპექტივები არსებობს მათი სინთეზის გასაძლიერებლად.

დღეს, როდესაც გლობალური გამოწვევები – კლიმატის ცვლილება, სოციალური უთანასწორობა და დემოკრატიული ინსტიტუტების კრიზისი – ყოველდღიურად მწვავდება, მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების ურთიერთქმედების გააზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამ პროცესში მასწავლებლებს გადამწყვეტი როლი ეკისრებათ, რადგან ისინი ახალი თაობის პასუხისმგებელი მოქალაქეების ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, თუ როგორ აღიქვამენ მოქალაქეობის მომავალი მასწავლებლები მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების მიზნების კავშირს.

გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მონაცემებიც შეგროვდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. ამან შესაძლებელი გახადა როგორც საერთო ტენდენციების, ისე ინდივიდუალური აღქმის გამოვლენა. კვლევაში მონაწილეობდა ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის მოქალაქეობის მიმართულების 28 სტუდენტი, მოქალაქეობის მომავალ მასწავლებელთა ორი ჯგუფი 2023-2024 და 2024-2025 სასწავლო წლებში. მათგან რვა მონაწილეს პროგრამაში შესვლამდე ჰქონდა სწავლების მცირე გამოცდილება.

კვლევამ გამოავლინა სტუდენტთა განსხვავებული წარმოდგენები მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების ურთიერთქმედებაზე, თუმცა საერთო ტენდეციაა, რომ მომავალი მასწავლებლები კარგად ხედავენ მდგრადი განვითარების ადგილს მოქალაქეობის სწავლებაში და თითქმის ვერ ხედავენ მოქალაქეობის სწავლების მნიშვნელობას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. შედეგები მნიშვნელოვანია მასწავლებლის მომზადების პროგრამების გაუმჯობესებისთვის, ისე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებისთვის.

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები სათანადოდ ვერ აფასებენ საკუთარ როლს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, რისთვისაც აუცილებელია მათი დახმარება მომზადებისას და პროფესიული განვითარებისას.

შემუშავებულია რეკომენდაციები მასწავლებლის მომზადების პროგრამისთვის მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების მიზნების ურთიერთქმედების სტუდენტთა მიერ აღქმის გაძლიერების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: მოქალაქეობა, განათლება, მდგრადი განვითარება, უნივერსიტეტი, მასწავლებელი.

JEL: I21; I28; Q01

DOI: 10.52244/c2025.41

შესავალი

მოხსენების მიზანია გამოვავლინოთ, როგორ ესმით მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს მოქალაქეობის სწავლებისა და მდგრადი განვითარების მიზნების ურთიერთქმედება, რა გამოწვევებსა და წინააღმდეგობებს ამჩნევენ ისინი ამ მიმართულებების ინტეგრირებულ გააზრებაში.

ეს კავშირი, ერთი შეხედვით, ზედაპირზე დევს, რადგან მდგრადი განვითარება არის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სამიზნე ცნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს ცნება მუშავდება ყველა თემაში. მდგრადი განვითარების თემატიკა ორგანულად არის შერწყმული მოქალაქეობის კურსთან. მოსწავლეები და სტუდენტები განსაკუთრებით ითავისებენ მდგრადი განვითარების გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ასპექტთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც საპროექტო თემატიკაშიც აისახება. უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი განვითარების პრინციპებშიც[1] ეს მხარე უფრო აქცენტირებულია.

საინტერესოა, რომ ფინელი მეცნიერების კოსკელასა და კარკაინენის ნაშრომში[2] მითითებულია, რომ მომავალ მასწავლებელთა განათლებაში მდგრადი განვითარების

[1] ბლიაძე მ, მდგრადი განვითარების მიზნები, თბილისი 2022
https://educationhouse.ge/open_news/1139

[2] Koskela T., Karkkainen S. Student Teachersí Change Agency in Education for Sustainable Development (2021*). Journal of Teacher Education for Sustainability*, Volume 23(1), 84-98
https://www.researchgate.net/publication/353327658_Student_Teachers'_Change_Agency_in_Education_for_Sustainable_Development

მიმართულებით დომინირებს სოციალური ასპექტი. თითქმის უგულებელყოფილია ეკოლოგიური და ეკონომიკური ასპექტები.

ცხადია, რომ მასწავლებელი კარგად უნდა ხედავდეს საკუთარი საგნის როლს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მოქალაქეობის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს საკუთარი საგნის მნიშვნელობის ხედვა როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური პრობლემების კუთხით. ამ შემთხვევაში საუბარია მოქალაქეობის სწავლების როლის დანახვაზე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

კავშირი მოქალაქეობის სწავლებასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის

სამოქალაქო განათლების სწავლების მეთოდიკის კურსის ფარგლებში სტუდენტების მიერ დაგეგმილ გაკვეთილებში არ ჩანდა მოქალაქეობის სწავლების კავშირი მდგრადი განვითარების ისეთ მიზნებთან, როგორიცაა: სიღარიბის გარეშე, ნულოვანი შიმშილობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, სუფთა წყალი და სანიტარია, ხარისხიანი განათლება, გენდერული თანასწორობა, შემცირებული უთანასწორობა, მდგრადი ქალაქები და თემები, მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები. ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო კავშირის ვერ დანახვა ან სხვა საკითხებისათვის მეტი ყურადღების მიქცევა. ამან განაპირობა კვლევა, რომელიც ჩატარდა სტრუქტურირებული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის გამოყენებით. კვლევა ეყრდნობა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს[3] და გლობალური მოქალაქეობის განათლების კონცეფციას[4].

კონკრეტულად რომელ კავშირებზეა საუბარი?

მაგალითად, ღირებულებათა ჯგუფიდანკომპეტენციის „ადამიანის უფლებათა და ღირსებების დაფასების“ (კერძოდ თანასწორობის) განვითარება დაეხმარება მოსწავლეს პირველი მიზნის „სიღარიბის გარეშე“, მეორე მიზნის „ნულოვანი შიმშილი“, მეხუთე მიზნის „გენდერული თანასწორობა“, მეათე მიზნის „შემცირებული უთანასწორობის“ და მეთერთმეტე მიზნის „მდგრადი ქალაქები და თემები“ გათავისებაში. ამ უკანასკნელის მისაღწევად ერთ-ერთი ამოცანაა ინკლუზიური ქალაქების შექმნა, სადაც მოიაზრება თანაბარი ხელმისაწვდომობა რესურსებსა და სერვისებზე და ქალაქების მართვაში მონაწილეობაზე.

ადამიანის უფლებებს მასწავლებლები განიხილავენ სხვადასხვა სავალდებულო თემის კონტექსტში, მაგრამ არ უკავშირებენ მათ მდგრადი განვითარების მიზნებს. გამონაკლისს წარმოადგენს გლობალური მოქალაქეობის თემა, რომელშიც ერთ-ერთ ინდიკატორად მოიაზრება გლობალური მოქალაქეობის არსებითი მახასიათებლების მდგრადი განვითარების პრინციპებთან დაკავშირება. ცხადია, მასწავლებელს უნდა შეეძლოს ამ კავშირების დანახვა.

---

[3] Competencies for Democratic Culture Living together as equals in culturally diverse democratic societies, Council of Europe 2016 https://www.coe.int/en/web/reference-framework-of-competences-for-democratic-culture/model

[4] Global Citizenship Education Topics and Learning Objectives, UNESCO 2015 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000232993

კომპეტენცია დამოკიდებულებების ჯგუფიდან „კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი, მსოფლმხედველობების, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებებისთვის მზობა“ განაპირობებს მეთექვსმეტე მიზნის აღქმას, რომელიც გულისხმობს მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობას და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

ანალოგიური მაგალითების მოყვანა შესაძლებელია უნარებისა და ცოდნისა და კრიტიკული გააზრების კომპეტენციების ჯგუფებისთვის.

მასწავლებელი, რომელიც ამ კავშირებს ხედავს, მეტ ყურადღებას მიაქცევს მოსწავლეებში შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას და მიზანმიმართულად შეუწყობს ხელს მოსწავლეებს მდგრადი განვითარების მიზნების გათავისებაში. ასეთი კავშირების დანახვა მოქალაქეობოს სწავლებაში მრავალი საკითხვის განხილვისას შეიძლება.

კვლევის შედეგები

ვარაუდმა, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტები ვერ ხედავენ ან ნაკლებად ხედავენ კავშირს მოქალაქეობის სწავლებასა და მდგრად განვითარებას შორის და, შესაბამისად, ვერც საკუთარ როლს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, განსაზღვრა კვლევის მთავარი კითხვა: როგორ ესმით მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების მიზნების ურთიერთკავშირი და რა გამოწვევებსა და პერსპექტივებს ხედავენ ისინი ამ პროცესში?

კვლევაში მონაწილეობდა 28 სტუდენტი, მოქალაქეობის მომავალ მასწავლებელთა ორი ჯგუფი 2023-2024 და 2024-2025 სასწავლო წლებში. მათგან რვა მონაწილე მოქმედი მასწავლებელი იყო.

კვლევისას გამოყენებული იქნა სტრუქტურირებული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი.

სტრუქტურირებულმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ სტუდენტები (მათ შორის მოქმედი მასწავლებლებიც) ორიენტირებული არიან გარემოსდაცვით და ეკონომიკურ ასპექტებზე. მხოლოდ ორმა სტუდენტმა აღნიშნა გენდერული თანასწორობა და შემცირებული უთანასწორობა.

ფოკუს ჯგუფის ჩატარებისას მონაწილეებმა ისაუბრეს იმის მიზეზებზე თუ რატომ იყვნენ ორიენტირებული ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე. პირველ მიზეზად დაასახელეს საგნობრივ სტანდარტში მოცემული ცნების „მდგრადი განვითარების“ მკვიდრი წარმოდგენა: ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება შესაძლებელია რესურსების, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებით, სამოქალაქო უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით, ნარჩენების სწორი მართვით (მეორადი გადმუშავება), ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებით, ჯანმრთელობაზე ზრუნვით. მეორე მიზეზად დასახელდა აქცენტები სახელმძღვანელოებში.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები.

სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა მომზადების პროგრამის

- სამოქალაქო განათლების მეთოდიკის კურსის ფარგლებში მეთოდების სწავლებისას შინაარსობრივ საფუძვლად სხვასთან ერთად გამოყენებული იქნეს მდგრადი განვითარების მიზნები;
- სამოქალაქო განათლების მეთოდიკის კურსის ფარგლებში მეთოდების სწავლებისას გაძლიერდეს მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირის ანალიზი;
- დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარების კურსში გამახვილდეს ყურადღება კავშირზე მდგრადი განვითარების მიზნებთან.

დასკვნა

მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტების უმრავლესობა ვერ ხედავს კავშირს მოქალაქეობის სწავლებასა და მგდრადი განვითარების სოციალური ასპექტის მიზნებთან. მიზეზად გვევლინება განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ექცევა გარემოდაცვით და ეკონომიკურ ასპექტებს. ამ ხარვეზის გამოსწორება შეიძლება მოქალაქეობის სწავლების მეთოდიკის კურსში შინაარსობრივ საფუძვლად სხვასთან ერთად მდგრადი განვითარების მიზნების გამოყენებით და მოქალაქეობისა და მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირის ანალიზის გაძლიერებით. სავარაუდოდ ეს მიდგომა სასარგებლო იქნება მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

ბლიაძე მ, მდგრადი განვითარების მიზნები, თბილისი 2022
https://educationhouse.ge/open_news/1139

Koskela T., Karkkainen S. Student Teachersí Change Agency in Education for Sustainable Development (2021*). Journal of Teacher Education for Sustainability*, Volume 23(1), 84-98
https://www.researchgate.net/publication/353327658_Student_Teachers'_Change_Agency_in_Education_for_Sustainable_Development

Competencies for Democratic Culture Living together as equals in culturally diverse democratic societies, Council of Europe 2016 https://www.coe.int/en/web/reference-framework-of-competences-for-democratic-culture/model

Global Citizenship Education Topics and Learning Objectives, UNESCO 2015
https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000232993